



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კრიხულა



კრიხულა, მდინარე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 15,2 კმ. აუზის ფართ. 134,6 კმ<sup>2</sup>. სათავეს იღებს რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 1480 მ-ზე. ერთვის მდ. რიონს ამბროლაურთან. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა - ზამთარში, გაფხულ-შემოდგომაზე ახასიათებს წყალმოვარდნა. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან - 3 მ<sup>3</sup>/წმ.

კრიხულა

**ი. აფხაზავა**

---